ოლიმპიადა მშობლიურ ენაში
I ტური
მე-6 კლასი

I სავარჯიშო: არსებითი სახელი და მისი მართლწერა. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

1. **არსებითი სახელი ჰქვია:**
   ა)საგნის აღმნიშვნელ სიტყვას ბ)მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვას გ)რაოდენობის აღმნიშვნელ სიტყვას
2. **სულიერი არსებითი სახელებია:**
   ა) გიორგი, ნატალი, ერეკლე ბ) მარწყვი, იოანე, სკოლა გ) ბავშვები, ბოსტნეული, ხილი
3. **რამდენი გრამატიკული შეცდომაა წინადადებაში:**
   „კაცათ მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესათ დარგე: ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე, აბა, დღეს მე ვის რა ვარგე“?
   ა) ორი ბ) ხუთი გ) შვიდი
4. **რომელ წინადადებაშია არასწორად დაწერილი სიტყვა?**
   ა) ნიგვზის ჩხრიალი ისმოდა ბელელში. ბ) ჭურჭელის დარეცხვა დაიწყო ფეფომ.
   გ) ბავშვის მხიარული ტიტიკი ყველას სიამოვნებდა.
5. **რომელ წინადადებაშია დაშვებული შეცდომა?**
   ა) ქვეყანის თავისუფლება უდიდესი მონაპოვარია. ბ) ხის ტოტები თანდათან მიწას ერთხმოდა.
   გ) ბაჭიას სტაფილო ძალიან მოსწონდა.

II სავარჯიშო: ბრუნვები და მათი ნიშნები. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

6. **ქართულ ენაში არის:**
   ა) ხუთი ბრუნვა ბ) სამი ბრუნვა გ) შვიდი ბრუნვა
7. **მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია:**
   ა) -მა ბ) -ს გ) -ით
8. **ვითარებითი ბრუნვის ნიშანია:**
   ა) -ათ ბ) -ად გ)-ით
9. **რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში:**
   „<u>ბეჭდის</u> თვალი საოცრად ბრჭყვიალებდა.“
   ა) მიცემითში ბ) სახელობითში გ) ნათესაობითში
10. **რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში:**
    „მშვენიერი, <u>მზით</u> გაჩახჩახებული დღეა.“
    ა) წოდებითში ბ) მოქმედებითში გ) ვითარებითში

სავარჯიშო ალტასგან. გისურვებთ წარმატებებს!

III სავარჯიშო: რიცხვითი სახელი და მისი მართლწერა. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

11. **რიცხვითი სახელი არის:**
    ა) ორგვარი ბ) სამგვარი გ) ოთხგვარი
12. **რიგობითი რიცხვითი სახელი გამოხატავს:**
    ა) საგნის რიგს ბ) საგნის რაოდენობას გ) საგნის ნაწილს
13. **რომელ წინადადებაშია არასწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?**
    ა) უამრავი ადამიანი ირეოდა მოედანზე.
    ბ) მე-20 სართულზე სრიალ-სრიალით ავედით.
    გ) ორასხუთი ლარი გადაუგზავნეს გიორგის.
14. **რომელ წინადადებაშია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?**
    ა) მე-45-ე ვიყავი გუნდის შემადგენლობაში.
    ბ) სამოცდამესამე რიგში ვისხედით მე და ჩემი მეგობრები.
    გ) X-ე მოსწავლე იყო კლასში, რომელმაც გამოცდები წარმატებით ჩააბარა.
15. რომელია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?
    ა) ათას ორას სამი ბ) მე-9-ე კლასი გ) 100-ე დღე

IV სავარჯიშო: ნაცვალსახელი. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

16. რომელ წყვილშია პირის ნაცვალსახელი?

ა) მაგაზე ისაუბრეს ბ) ჩვენი სახლი გ) მე გავყევი

17. რომელ წყვილშია კუთვნილებითი ნაცვალსახელი?

ა) ის მიირთმევს ბ) ის ქალბატონები გ) მათი ოცნება

18. რომელ წყვილშია ჩვენებითი ნაცვალსახელი?

ა) ეგ ბავშვები ბ) შენ ხალისობ გ) ჩვენ ვსწავლობთ

19. რომელი წინადადებაა სწორი?

ა) ჩვენ მოუთმენლად ველოდებით ზაფხულის არდადეგებს.

ბ) ჩემ მეგობარს ძალიან უყვარს ნაყინი.

გ) მათმა იყიდეს საჰაერო ბურთი.

20. რომელი წინადადებაა <u>არასწორი?</u>

ა) მათ გუნდმა გაიმარჯვა.

ბ) ჩვენ ვუამბობთ ჩვენს წარმატებებზე.

გ) თქვენი გადაწყვეტილება მისაღებია.

V სავარჯიშო: ზმნა და ზმნიზედა. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

21. ზმნა არის:

ა) ფორმაცვალებადი, სრული მნიშვნელობის მქონე მეტყველების ნაწილი ბ) ფორმაუცვლელი, სრული მნიშვნელობის მქონე მეტყველების ნაწილი

გ) ფორმაუცვლელი, დამხმარე მეტყველების ნაწილი

22. ზმნიზედა არის:

ა) ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილი ბ) ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილი

გ) დამხმარე მეტყველების ნაწილი

23. რომელი მეტყველების ნაწილია ხაზგასმული სიტყვა?

„მზის სხივები <u>ნელ-ნელა</u> ეფინებოდა დედამიწას.“

ა) ზმნა ბ) ზმნიზედა გ) ზედსართავი სახელი

24. რომელი მეტყველების ნაწილია ხაზგასმული სიტყვა?

„მზე <u>გადაყლაპა</u> თოხლო კვერცხივით.“

ა) ზმნიზედა ბ) ზედსართავი სახელი გ) ზმნა

25. რამდენ სიტყვას დაესმის კითხვა <u>როგორ</u>?

„ლამაზი, მშვიდად, წამებული, სუფთად, ბედნიერი, ჩუმად, ჩუმი, ბედნიერად,“

ა) ორი ბ) სამი გ) ოთხი

VI სავარჯიშო: ტექსტის გააზრება. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

ოლიმპო - ღმერთების სახლი ძველ ბერძნებსა და რომაელებს უამრავი ღმერთი ჰყავდათ.

ღვთაებები ღრუბლებზე უფრო მაღალ მთაზე, ოლიმპოზე ცხოვრობდნენ და იქიდან გადმოჰყურებდნენ ნახევარღმერთებს, გმირებსა და უბრალო მოკვდავებს.

ოლიმპოს მთავარ ღმერთს ზევსი ერქვა და, სხვა ღმერთებისაგან განსხვავებით, მეხთამტყორცნელი იყო. როცა გაბრაზდებოდა, განსაკუთრებით მაშინ აფრქვევდა მეხსა და ელჭექს. განრისხებული ზევსის ნახვას მტერს არ უსურვებდა კაცი.

ზევსს ძველი რომაელები იუპიტერს ეძახდნენ და, რა გასაკვირია, რომ მზის სისტემის ყველაზე დიდ პლანეტას ყველაზე დიდი ღმერთის სახელი ჰქვია.

განსაკუთრებით სახელგანთქმული თორმეტი ღმერთი იყო: ჰერა, ათენა, პოსეიდონი, დემეტრე, აპოლინი, არტემიდე, ჰერმესი, არესი, აფროდიტე, ჰეფესტო, ჰესტია, ჰადესი.

თუ ზევსი კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა, ოლიმპოს მაღალ მთაზე სიმშვიდე სუფევდა - არც ქარი იყო და არც წვიმა, არც დარდი და ჭმუნვა, არც ზამთარი და შემოდგომა. მხოლოდ გაზაფხული, სიხარული, სინათლე და უკვდავება ზეიმობდა. ღმერთები მთელ დროს განცხრომასა და ნებივრობაში

ატარებდნენ, ნექტარს და ამბროსიას მიირთმევდნენ და გრაციების უმშვენიერესი ცეკვებით ტკბებოდნენ.

ნექტარი ღმერთების სასმელია, ამბროსია - ღმერთების საჭმელი, გრაციები - მშვენიერების ქალღმერთები. მოხდენილ ქალზე დღესაც ამბობენ , გრაციოზულიაო.

ძველბერძნულიდან მომდინარეობს კიდევ ერთი გამოთქმა - ოლიმპიური სიმშვიდე, თუმცა სიმშვიდის გარდა ოლიმპიური ბევრი რამეა. მარტო ოლიმპიური თამაშები რად ღირს, ისინი ხომ პირველად სწორედ ძველ საბერძნეთში და სწორედ ოლიმპოს ღმერთების პატივსაცემად მოეწყო.

26. რით გამოირჩეოდნენ ძველი ბერძნები და რომაელები?

ა) ერთღმერთიანობით ბ) მრავალღმერთიანობით გ) უღმერთოებით

27. ვის გულისხმობს ავტორი სიტყვებში ,,უბრალო მოკვდავებს”?

ა) ოლიმპოს ღმერთებს ბ) ჩვეულებრივ ადამიანებს

გ) გრაციებს

28. როგორი სიტყვებია: სწორუპოვარნი, თმამშვენიერნი, თვალსხივოსანნი?

ა) მსგავსი მნიშვნელობის ბ) საპირისპირო მნიშვნელობის

გ) რთული სიტყვები ანუ კომპოზიტები

29. სად ბინადრობდნენ ღვთაებები?

ა) ოლიმპოს მთაზე ბ) უმშვენიერეს სამოთხის ბაღში გ) ლურჯი ზღვის სიღრმეში

30. რით გამოირჩეოდა ზევსი?

ა) ძალიან ლმობიერი იყო ბ) ძალიან კეთილი იყო გ) მეხთამტყორცნელი იყო

31. რას ეძახდნენ ძველი რომაელები ზევსს?

ა) იუპიტერს ბ) მარსს გ) ვენერას

32. რა განაპირობებდა ოლიმპოს მთაზე სიმშვიდეს?

ა) ზევსის კარგი განწყობა ბ) ღმერთების ერთიანობა გ) კარგი ამინდი

33. ვინ იყვნენ გრაციები?

ა) მშვენიერი ვაჟკაცები ბ) მშვენიერი ქალღმერთები გ) მშვენიერი უფლისწულები

34. საიდან მომდინარეობს გამოთქმა „ოლიმპიური სიმშვიდე“?

ა) ძველი ბერძნულიდან ბ) ძველი რომაელებიდან გ) ძველი ირანულიდან

35. თავდაპირველად სად ეწყობოდა ოლიმპიური თამაშები?

ა) ძველ რომში ბ) ძველ ირანში გ) ძველ საბერძნეთში

100 ქულიანი ტესტი დასრულდა. შემდეგი სავარჯიშო ბონუსია. მოცემულია 5 შეკითხვა, თითო 4 ქულიანი. დამატებითი ქულებით ტესტში დაშვებული შეცდომების ანაზღაურება შეგიძლია.

ბონუს სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)

ბონუს შეკითხვა ავერსისგან

36. „ავერსი-ფარმა“ ქართულ ბაზარს ჯანდაცვის სფეროში პროფესიულ გამოცდილებას უზიარებს და პირადი ფარმაცევტის მომსახურებას .....

ა) სთავაზობს ბ) სთავაზობთ გ) თავაზობს

37. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული წინადადებაში: „იდგა დაფიქრებული ჭადარი და თავისთვის იცრემლებოდა.“

ა) შედარება ბ) გაპიროვნება გ) გაზვიადება

38. „თვალში ნაცარს აყრის“ ანუ:

ა) ატყუებს ბ) ნაცარს აბნევს გ) თამაშობს

39. „ცხვირი აიბზუა“ ანუ:

ა) დაიწუნა ბ) განრისხდა გ) გაიკვირვა

40. დაასრულეთ ანდაზა: „კარგი ცხენი ..... “

ა) ბევრს ირბენსო ბ) მათრახს არ დაირტყამსო გ) პატრონს გაახარებსო